2016

საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

ბიულეტენი №4

პერიოდული გამოცემა
ზამთარი 2016

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

შინაარსი

1. სახალხო დამცველის მისალმება 3

2. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი 4

3. მთავარი მოვლენა 5

3.1 საქართველოს სახალხო დამცველმა სპეციალური პრევენციული ჯგუფის განახლებული შემადგენლობა დაამტკიცა 5

4. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა 5

4.1.1 ვაზიანის ჰაუპტვახტის მონიტორინგი 5

4.1.2 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტები 5

4.1.3 თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების მონიტორინგი 6

4.1.4 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრის მონიტორინგი 7

4.1.5 მონიტორინგი მცირე საოჯახო ტიპის სახლებში 8

4.2 დიალოგი დაინტერესებულ მხარეებთან 8

4.3 ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა 8

4.4 სამუშაო მეთოდოლოგია და თანამშრომელთა სწავლება 9

4.4.1 სახალხო დამცველთან არსებულ სპეციალური პრევენციული ჯგუფის განახლებულ შემადგენლობას ტრეინინგი ჩაუტარდა 9

5. ინფორმაცია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შესახებ 9

5.1 N5 პენიტენციური დაწესებულების მიმოხილვა 9

6. რეკომენდაციების შესრულების დინამიკა 10

6.1 საქართველოს პარლამენტის დადგენილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი 10

7. საკანონმდებლო მიმოხილვა 14

7.1 საკანონმდებლო წინადადებები და ცვლილებები კანონმდებლობაში 14

7.2 საერთაშორისო სტანდარტის მიმოხილვა 15

7.2.1 არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვა, კომპენსაცია და რეაბილიტაცია 15

7.3 საერთაშორისო სტანდარტის ასახვა შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში 16

8. ფოკუსი 16

8.1 ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში 16

9. ექსპერტის მოსაზრება 17

10. საერთაშორისო სიახლეები 18

11. მომავალი ღონისძიების ანონსი 18

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

პრევენციის ეროვნული მექანიზმის N4 ბიულეტენი შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას ჩვენს მიერ ზამთრის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების შესახებ.

პირველ რიგში აღსანიშნავია სპეციალური პრევენციული ჯგუფის შემადგენლობის განახლება, რასაც წინ უძღვოდა საჯარო კონკურსი. ჯგუფი დაკომპლექტდა სხვადასხვა დარგის სპეციალისტებით.

ამავე პერიოდში, ასევე ჩატარდა ათზე მეტი ვიზიტი თავისუფლების აღკვეთის/შეზღუდვის ადგილებში. პირველად განხორციელდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრისა და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების მონიტორინგი.

პრევენციის ეროვნული მექანიზმმა აღიშნულ პერიოდში აგრეთვე განახორციელა ვიზიტები N9, N17 და N15 დაწესებულებებში. თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტთან თანამშრობლობით განხორციელდა ვაზიანის ჰაუპტვახტის მონიტორინგი, ხოლო ბავშვთა უფლებების ცენტრის თანამშრომლებთან ერთად განახორციელა მცირე საოჯახო ტიპის დაწესებულებების მონიტორინგი. ბიულეტენში მოცემულია ინფორმაცია N5 პენიტენციური დაწესებულების შესახებ. წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის დადგენილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი და ინფორმაცია პატიმრობის კოდექსში ინიცირებული კანონპროექტის შესახებ.

ნომერი მიმოიხილავს საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვის, კომპენსაციისა და რეაბილიტაციის საკითხს. ბიულეტენის ფოკუსს წარმოადგენს ანგარიში ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულმა სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა და სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტმა მოამზადეს.

ზამთრის პერიოდში არაერთი აქტივობა განხორციელდა. ამ კუთხით აღსანიშნავია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი ანგარიში სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე; ასევე, სახალხო დამცველის სამუშაო შეხვედრა განახლებული სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის თანამშრომლების პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერებისა და საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში ჩაუტარდათ ტრენინგი ანგარიშის წერის ტექნიკაში. ტრენინგის მიზანი იყო ანგარიშგების გაუმჯობესების გზით პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა.

ბიულეტინის წინამდებარე ნომერში ასევე იხილავთ საქართველოს სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის უფროსის ირინე ობოლაძის მოსაზრებებს საქართველოში მცხოვრებ ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

2. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი

2009 წლიდან საქართველოში პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს საქართველოს სახალხო დამცველი ასრულებს. ამ მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველთან შეიქმნა სპეციალური პრევენციული ჯგუფი, რომლის უფლებამოსილებები განსაზღვრულია „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის დებულებების განმარტებისა და პრაქტიკაში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების განსამარტად, გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტმა პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები გამოსცა.[1] სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, პრევენციის ეროვნული მექანიზმი წარმოადგენს ზედამხედველობის დამატებით სისტემას და ის არ ცვლის არსებულს ან არ გამორიცხავს ზედამხედველობის სხვა სისტემების შექმნას.[2] საკანონმდებლო აქტით განსაზღვრულია პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი და უფლებამოსილება, ასევე, უზრუნველყოფილია მისი ფუნქციონალური დამოუკიდებლობა.

გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-4 მუხლის თანახმად, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა ვრცელდება თავისუფლების აღკვეთის ან შეზღუდვის ყველა დაწესებულებაზე. წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით, პრევენციის ეროვნული მექანიზმი და სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები მუდმივად უნდა აწარმოებდნენ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების განხილვას.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციონირების ეფექტიანობის უზრუნველყოფა წარმოადგენს განგრძობად ვალდებულებას და შესაბამისად პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტიანობა მუდმივად უნდა მოწმდებოდეს როგორც სახელმწიფოს, ასევე თავად პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ. ამასთან, ამ პროცესში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის შესაბამისი მოსაზრებები.

პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა საკუთარი მანდატის თითოეული ასპექტის შესრულებისას ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტი. პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებს მოეთხოვებათ რეგულარულად გადასინჯონ მათი საქმიანობის მეთოდოლოგია და ქმედუნარიანობის ასამაღლებლად გაიარონ შესაბამისი სწავლება.[3]

პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა უნდა შეიმუშავოს სამუშაო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს დროთა განმავლობაში სახელმწიფოს ეფექტურ კონტროლს დაქვემდებარებულ თავისუფლების აღკვეთის/შეზღუდვის ყველა ადგილის მონახულებას და იქ შესაბამისი შემოწმების ჩატარებას. საქმიანობა უნდა დაიგეგმოს და რესურსები გადანაწილდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს თავისუფლების აღკვეთის/შეზღუდვის ადგილების ისეთი სიხშირით მონახულება, რაც ეფექტიან წვლილს შეიტანს წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის საქმეში.[4]

საქართველოში პრევენციის ეროვნული მექანიზმი ყოველი ვიზიტის შემდგომ გამოსცემს ანგარიშებს, ასევე წლიურ და სხვა ფორმის ანგარიშებს საჭიროების შესაბამისად. ანგარიშები, სადაც ეს აუცილებელია, უნდა შეიცავდეს შესაბამის რეკომენდაციებს, რომელიც თავის მხრივ შემუშავებული იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის შესახებ მიღებული ნორმების, მათ შორის, გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის კომენტარებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. პრევენციის ეროვნული მექანიზმი ვალდებულია სრულად დაიცვას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.[5]

[1] პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები, გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტი, 2010, პარ. 2.

[2] იქვე პარ. 5

[3] იქვე პარ. 30-31

[4] იქვე პარ. 33-34

[5] იქვე პარ. 36-37

3. მთავარი მოვლენა

3.1 საქართველოს სახალხო დამცველმა სპეციალური პრევენციული ჯგუფის განახლებული შემადგენლობა დაამტკიცა

საჯარო კონკურსისა და შესარჩევი კომისიის წევრებთან გასაუბრების შედეგად, 2016 წლის 25 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველის ბრძანებით სპეციალური პრევენციული ჯგუფის განახლებული შემადგენლობა დამტკიცდა. სპეციალური პრევენციული ჯგუფის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრთა შერჩევა ხდება კონკურსის წესით, რომელიც ტარდება, როგორც წესი, წელიწადში ერთხელ და მისი ჩატარების პირობები განისაზღვრება საქართველოს სახალხო დამცველის ბრძანებით.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად სპეციალური პრევენციული ჯგუფი დაკომპლექტებულია სხვადასხვა დარგის სპეციალისტებით. ჯგუფის შემადგენლობაში შედის 6 იურისტი, 5 ექიმი, 2 ექსპერტი ჯანდაცვის საკითხებში, 2 ფსიქიატრი, 6 ფსიქოლოგი, 5 სოციალური მუშაკი, 4 ექსპერტი დისკრიმინაციის საკითხებში (მათ შორის 2 შშმ პირი), 2 ექსპერტი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19[1] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სპეციალური პრევენციული ჯგუფი რეგულარულად ამოწმებს დაკავებულ, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლება შეზღუდულ პირთა და მსჯავრდებულთა, აგრეთვე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მოთავსებულ პირთა მდგომარეობას და მათდამი მოპყრობას წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან ან სასჯელისაგან დაცვის მიზნით.

შერჩეულ 32 კანდიდატს შორის 23 გასულ წელს მოქმედი სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრია.

4. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა

4.1 განხორციელებული ვიზიტები

4.1.1 ვაზიანის ჰაუპტვახტის მონიტორინგი

2015 წლის 4 დეკემბერს პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტისა და თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ვაზიანის ჰაუპტვახტის მონიტორინგი, რომლის მიზანი იყო სრულყოფილად შეეფასებინათ შეიარაღებულ ძალებში წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის პრევენციის და სხვა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა. ვიზიტის მიმდინარეობის დროს მონიტორინგის ჯგუფის წევრები დაუბრკოლებლად გადაადგილდებოდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე და ადმინისტრაციის მხრიდან მონიტორინგისთვის ხელის შეშლას ადგილი არ ჰქონია.

ვაზიანის ჰაუპტვახტში არსებული მდგომარეობა ზოგადად დამაკმაყოფილებელია, უზრუნველყოფილია გათბობა, ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია. აღსანიშნავია, რომ ჰაუპტვახტში საკმარისად არ არის დაცული სანიტარულ ჰიგიენური მდგომარეობა, საწოლებზე დაფენილი ლეიბი, გადასაფარებელი და ბალიში გაცვეთილი და დაბინძურებულია. ჰაუპტვახტში არსებულ სანიტარულ კვანძში არ არის უზრუნველყოფილი პრივატულობა. მონიტორინგის სრული შეფასება ასახულია 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში.[6]

4.1.2 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტები

პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა 2015 წლის 7 დეკემბრიდან 11 დეკემბრის ჩათვლით მონიტორინგი განახორციელა N17, N9, N15 დაწესებულებებში. მონიტორინგის დროს ჯგუფის წევრები დაუბრკოლებლად გადაადგილდებოდნენ დაწესებულებების ტერიტორიაზე და ადმინისტრაციის მხრიდან მონიტორინგისთვის ხელის შეშლას ადგილი არ ჰქონია.

მონიტორინგის სრული შეფასება ასახულია 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში.

[6] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის წლიური ანგარიში, გვ. 505-507

4.1.3 თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების მონიტორინგი

ფოტო: http://www.probation.gov.ge/

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა 2015 წლის 14 დეკემბერს მონიტორინგი განახორციელეს თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში, რომელიც წარმოადგენს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირის პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს. მონიტორინგის მიმდინარეობისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ფიზიკური გარემო, გაესაუბრნენ მსჯავრდებულ პირებსა და თანამშრომლებს, ჯგუფის წევრები ხელმძღვანელობდნენ წინასწარ შემუშავებული ინსტრუმენტებით.

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში განთავსებული არიან მსჯავრდებულები, რომლებსაც პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, თავისუფლების აღკვეთა თავისუფლების შეზღუდვით შეეცვალათ. გარესამყაროსთან კონტაქტის შესანარჩუნებლად მსჯავრდებულებს გარანტირებული აქვთ უქმე დღეებში დაწესებულების დატოვების შესაძლებლობა. დაწესებულებაში მისაღებ მსჯავრდებულთა ზღვრული ოდენობა შეადგენს 100 მსჯავრდებულს.[7] სპეციალური პრევენციული ჯგუფის დაწესებულებაში ვიზიტის დროს[8] დაწესებულებაში იყო 26 მსჯავრდებული.

„არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სასჯელის სახით თავისუფლების შეზღუდვის შესახებ სამართლებრივი აქტის აღსასრულებლად მიღების შემდეგ მსჯავრდებულს, საჭიროებიდან გამომდინარე, განესაზღვრება დაწესებულებაში არსებულ სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობის ვალდებულება, ასევე მისი თანხმობით, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით, შესაბამისი მომზადების გავლის შემდეგ განესაზღვრება შრომითი საქმიანობა პრობაციის ეროვნული სააგენტოს სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიულ პირში.[9] თავისუფლება შეზღუდული პირის შრომითი საქმიანობა ანაზღაურებადია[10]. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის მანძილზე, დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაკარონის საწარმოში ანაზღაურებად პოზიციაზე სამწუხაროდ მხოლოდ 11 მსჯავრდებული დასაქმდა.

დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციის თანახმად, მსჯავრდებულთა შორის კონფლიქტური სიტუაციების აღმოფხვრას დაწესებულების თანამშრომლები მათთან საუბრით ცდილობენ, მიუხედავად ამისა, 2015 წლის განმავლობაში პატიმრებს შორის სიტყვიერი შელაპარაკებისა და ფიზიკურ დაპირისპირების 19 შემთხვევა დაფიქსირდა. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით პრობლემებია, კერძოდ, არსებობს მსჯავრდებულთა შორის ძალადობის და წესრიგის დარღვევის მაღალი რისკი.

სამედიცინო მომსახურების შემთხვევების საფუძველზე ჩანს, რომ დაწესებულებაში არ არის უზრუნველყოფილი ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციები, დაწესებულების მთავარი ექიმის მიერ ხდება ყველა სახის კონსულტაციისა და მკურნალობის დანიშვნა. ამასთან, მსჯავრდებულთა სამედიცინო ბარათები, რიგ შემთხვევებში, არასრულად იწარმოება, რაც ხელს უშლის მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურების უწყვეტობას.

მონიტორინგის დროს მოპოვებული დიდი მოცულობის მონაცემები, ასახულია 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში.

---

[7] სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N373, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 11.

[8] 2015 წლის 14 დეკემბერი.

[9] “არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 44^1 მუხლის მეორე ნაწილი.

[10] „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 44^1 მუხლის მესამე ნაწილი.

4.1.4 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრის მონიტორინგი

ფოტო: http://netgazeti.ge/news/35563/

დროებითი განთავსების ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიგრაციის დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეული, რომლის ფუნქციაა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში ცენტრში უცხოელთა მოთავსება.[11]

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2015 წლის 17 დეკემბერს განხორციელდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრის მონიტორინგი. ვიზიტის დროს მოპოვებული დოკუმენტაცია, ასევე მონიტორინგის ჯგუფის წევრთა ანგარიშები ინახება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში. ანგარიში შეიცავს მონიტორინგის ჯგუფის ძირითად მიგნებებს და შედგენილია იმგვარად, რომ ინტერვიუს კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარე, არ მოხდეს რესპონდენტთა იდენტიფიკაცია. დაწესებულების თანამშრომლებმა წარმოადგინეს მათ ხელთ არსებული და ჯგუფის მიერ მოთხოვნილი, ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან ცენტრში განთავსებული პირების მიმართ ფიზიკური ძალადობის ან სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტების შესახებ ინფორმაცია არ მიუღია. დროებითი განთავსების ცენტრი განკუთვნილია 92 პირის განთავსებისათვის. ვიზიტის დროს დაწესებულებაში იმყოფებოდა 18 პირი. მათ შორის, 16 კაცი და 2 ქალი, რომელთაგან ერთი ქალთა განყოფილებაში, ხოლო მეორე საოჯახო განყოფილებაში იმყოფებოდა.

დროებითი განთავსების ცენტრში გამართულ ინფრასტრუქტურა და კარგი სანიტარულ-ჰიგიენური პირობებია. ამავე დროს, დაწესებულების შენობის გარე და შიდა ვიზუალური დათვალიერების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მთლიანი ინფრასტრუქტურა ითვალისწინებს გაძლიერებულ უსაფრთხოების კომპონენტებს. ცენტრში მოთავსებულ პირებს თანამშრომლებისთვის მიმართვის გარეშე შეზღუდული აქვთ გადაადგილება ფლიგელებს გარეთ, ეზოში და სასადილოში, რაც უარყოფითად მოქმედებს დაკავებულთა მდგომარეობაზე და მათ ციხის რეჟიმის მსგავს პირობებში ამყოფებს.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი აღნიშნავს, რომ დაკავების ცენტრი არ უნდა გავდეს ციხეს რაიმე ფორმით. საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპები ითვალისწინებს, რომ დაკავებული მიგრანტები მოთავსებული იყვნენ სპეციალურად მათვის განკუთვნილ ცენტრებში, ხოლო დაკავების პირობები უნდა შეესაბამებოდეს მათი თავისუფლების აღკვეთის ხასიათს.[12]

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ მიგრანტებს უნდა ჰქონდეთ ნაკლები შეზღუდვები და სხვადასხვა აქტივობებისთვის გათვალისწინებული დღის წესრიგი.[13]

ცენტრში მოთავსებულ პირთა დღის განრიგი რეგულირდება დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებულ უცხოელთა დღის წესრიგით, რომელიც არ შეიცავს ორგანიზებულ მრავალფეროვან აქტივობებს.

[11] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დირექტორის ბრძანება, დროებითი განთავსების ცენტრის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ

[12] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, ამონარიდი წამების პრევენციის მე-7 ზოგადი ანგარიშიდან, გვ 54.

[13] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, პარა. 79, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf [ბოლოს ნანახია 16.01.2016].

4.1.5 მონიტორინგი მცირე საოჯახო ტიპის სახლებში

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

2016 წლის 25 იანვრიდან 10 თებერვლის ჩათვლით, სახალხო დამცველის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ფარგლებში, სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრთან ერთად, მონიტორინგი განახორციელა აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ 10 მცირე საოჯახო ტიპის სახლში.

მონიტორინგისას დეტალურად იქნა შესწავლილი მცირე საოჯახო ტიპის სახლებში არსებული მდგომარეობის შესაბამისობა თითოეული სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. ასევე, შეფასდა რამდენად იქნა გათვალისწინებული 2014 წელს განხორციელებული მცირე საოჯახო ტიპის სახლების მონიტორინგის შედეგად სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციები.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში კვლავ პრობლემად რჩება არასრულწლოვანთა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის უფლება, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება. ასევე, პრობლემურია ბავშვის მიმართ ძალადობა და ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაციის საკითხები, მათი ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული მომსახურებით უზრუნველყოფა.

დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ წინა წლებთან შედარებით, გაუმჯობესებულია სოციალური სამსახურების ჩართულობა ბავშვზე ზრუნვის პროცესში. გამოიკვეთა ბავშვებს შორის ბულინგის შემთხვევები, როგორც ფსიქოლოგიური, ასევე ფიზიკური ძალადობის ფორმით სკოლაში და მცირე საოჯახო ტიპის სახლში.

კვლავ ადგილი აქვს აღზრდის ფორმების პერმანენტულ ცვლას, რაც უმეტეს შემთხვევაში უარყოფითად აისახება ბავშვის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, აძნელებს მათ ადაპტირებას შეცვლილ გარემოსთან და იწვევს ემოციური და ქცევითი დარღვევების პროვოცირებას.

4.2 დიალოგი დაინტერესებულ მხარეებთან

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ანგარიში სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

- 2016 წლის 11 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში „2014 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 3 ივლისის დადგენილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის განხილვა ჩატარდა. სახალხო დამცველის რეკომენდაციების ადრესატებმა რეკომენდაციების შესრულების ანგარიშები წარმოადგინეს.

4.3 ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა

- 2016 წლის 29 თებერვალს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე დაესწრო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში „პენიტენციური სისტემის რეფორმის სტრატეგიისა და 2016-2020 წლების სამოქმედო გეგმის“ პროექტის განხილვას.

2016 წლის 15-16 თებერვალს პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მონაწილეობდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის პროექტის დახვეწის მიზნით გამართულ სამუშაო შეხვედრაში. ორწლიანი, რეგულარულად განახლებადი სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

არსებული ძირითადი პრიორიტეტების, მიზნების განსაზღვრასა და მათი ეფექტური შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვას.

- 2016 წლის 7-11 თებერვალს პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მონაწილეობდა საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში გამართულ სასწავლო ვიზიტში, რომელიც ორგანიზებული იყო ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“.

- 2016 წლის 4 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა სამუშაო შეხვედრა გამართა განახლებული სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან.

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

შეხვედრაზე განიხილეს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონიდან და სპეციალური პრევენციული ჯგუფის დებულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები, პროფესიული ეთიკის საკითხები, სამუშაო მეთოდოლოგია და პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტები.

4.4 სამუშაო მეთოდოლოგია და თანამშრომელთა სწავლება

4.4.1 სახალხო დამცველთან არსებულ სპეციალური პრევენციული ჯგუფის განახლებულ შემადგენლობას ტრეინინგი ჩაუტარდა

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

2016 წლის 28-31 იანვარს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“, ჩაუტარდათ ტრენინგი ანგარიშის წერის ტექნიკაში. ტრენინგის მიზანი იყო ანგარიშგების გაუმჯობესების გზით პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა.

ტრენინგის ნაწილი, რომელსაც ფსიქოლოგები ანა გაგუა და ანა გაბისკირია უძღვებოდნენ, ძირითადად ანგარიშის წერის, როგორც კომუნიკაციის ფორმის თავისებურებებს დაეთმო, ასევე მიმოიხილეს ანგარიშის სახეები და სტანდარტული სტრუქტურა. ტრენინგის მეორე ნაწილში, რომელსაც გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის წევრი არმან დანიელიანი უძღვებოდა, მოხდა წამების პრევენციის კუთხით არსებული საერთაშორისო სტანდარტების პრეზენტაცია. გაიმართა დისკუსია სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დახურული ტიპის დაწესებულებების მონიტორინგის ორგანიზაციულ ასპექტებსა და ანგარიშგების საკითხებზე. ტრენინგის განმავლობაში არაერთი პრაქტიკული სავარჯიშო გაკეთდა.

ვინაიდან, შემდგომი პროფესიული განვითარება პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის პროფესიული სწავლება მომავალშიც გაგრძელდება.

5. ინფორმაცია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შესახებ

5.1 N5 პენიტენციური დაწესებულების მიმოხილვა

ფოტო:www.humanrights.ge

საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს N5 პენიტენციური დაწესებულება მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირში. იგი წარმოადგენს ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია

და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას, სადაც თავსდებიან სრულწლოვანი და არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები ქალები. „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №106 ბრძანების თანახმად, დაწესებულებაში პატიმართა განთავსების ლიმიტია 1 349 პატიმარი. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის იანვრის მდგომარეობით, პენიტენციურ დაწესებულებებში ჯამში 318 ქალი პატიმარი იმყოფებოდა მაშინ, როცა 2012 წლის იანვარში ქალი პატიმრების რაოდენობა 1 209 პატიმარს შედგენდა.

2010 წლამდე ქალ პატიმართა ძირითადი ნაწილი სასჯელს იხდიდა ამჟამინდელ N9 დაწესებულებაში (თბილისი, აბუსერიძე-ტბელის ქ. N11). მას ქალთა და არასრულწლოვანთა N5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება ეწოდებოდა, სადაც მოთავსებულები იყვნენ ქალი და არასრულწლოვანი პატიმრები.

სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებული რეფორმის შედეგად 2010 წლის 6 ნოემბერს ექსპლუატაციაში შევიდა ახალი - N5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულება. დაწესებულების ლიმიტი იყო 1 200 პატიმარი. 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქალთა N5 დაწესებულებაში სასჯელს იხდიდა 4 უვადო მსჯავრდებული ქალი.

2012 წლიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებათა უმრავლესობაში და მათ შორის N5 დაწესებულებაში გაიხსნა და აღიჭურვა პირველადი ჯანდაცვის პუნქტები, ასევე ამბულატორული კომპონენტი მეორადი ჯანდაცვის ელემენტებით (მინი სტაციონარული ნაწილებით).

2015 წლის 6 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა შეწყალების აქტს მოაწერა ხელი, რომლის საფუძველზეც N5 დაწესებულებაში მყოფ 3 უვადო პატიმარ ქალბატონს უვადო პატიმრობა 20 წლიანი პატიმრობით შეეცვალათ.

N5 დაწესებულებაში არის პატიმართა 7 საცხოვრებელი კორპუსი: საპატიმრო განყოფილება, A, B, C და D კორპუსები, ტუბერკულოზით დაავადებულთა საცხოვრებელი, დედათა და ბავშვთა განყოფილება.

2015 წელს დაწესებულებაში აშენდა კორპუსი მსჯავრდებულთა გრძელვადიანი პაემანებისთვის; გარემონტდა ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამა „ატლანტისისთვის“ განკუთვნილი 7 ოთახი; მოეწყო და გარემონტდა სილამაზის სალონის შენობა; გარემონტდა და მოეწყო სპეციალური პალატა პოსტოპერაციული და ჯანმრთელობის გამწვავების გართულების შემთხვევისათვის; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის მოეწყო ადაპტირებული საცხოვრებელი საკნები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ამ დროისათვის არ არსებობს არასრულწლოვან გოგონათა სარეაბილიტაციო დაწესებულება. საჭიროების შემთხვევაში მათი განთავსება ხდება ქალთა N5 დაწესებულებაში, რომლითაც ირღვევა ქალთა და არასრულწლოვანთა განცალკევებით მოთავსების პრინციპი.

დღეისათვის N5 დაწესებულებაში ყველაზე მრავლადაა წარმოდგენილი სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო აქტივობები, რაც ქალ მსჯავრდებულებს შესაძლებლობას აძლევს შეისწავლონ სხვადასხვა სახის ხელობა და მიიღონ პროფესიული უნარ-ჩვევები.

6. რეკომენდაციების შესრულების დინამიკა

6.1 საქართველოს პარლამენტის დადგენილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი

მიიღოს ყველა გონივრული ზომა, მათ შორის სწავლებით და ინსტრუქციების მიცემით, რათა სამედიცინო პერსონალის და პატიმრის გასაუბრებისას კონფიდენციალურობა სრულად იყოს დაცული

/რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია/

მისასალმებელია, რომ ექიმებს უტარდებათ ტრენინგები, სადაც გათვალისწინებულია სამედიცინო პერსონალისა და პატიმრის გასაუბრების კონფიდენციალურობის საკითხი. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მხოლოდ აღნიშნული ვერ უზრუნველყოფს არსებული პრობლემის სრულად აღმოფხვრას. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული მონიტორინგები ცხადყოფს, რომ პრაქტიკაში პაციენტისა და ექიმის საუბარს

ხშირ შემთხვევაში ესწრება დაწესებულების არასამედიცინო პერსონალი.

სახალხო დამცველის შეფასებით, კვლავ პრობლემურია ნორმატიულ დონეზე კონფიდენციალურობის დაცვის გარანტიების სრულად უზრუნველყოფა. ასე მაგალითად, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების დებულებების[14] თანახმად, რისკების გათვალისწინებით, ექიმის თანხმობით, კონსულტაციას შეიძლება დაესწროს რეჟიმის განყოფილების მოსამსახურე.

მიგვაჩნია რა, რომ ექიმის სიცოცხლე და ჯამრთელობა დაცული უნდა იყოს, სახალხო დამცველი იზიარებს იმ პოზიციას, რომ რეალური და იმწუთიერი საფრთხის არსებობის შემთხვევაში გარკვეული ზომები უნდა იქნეს მიღებული მისი უსაფრთხოების დასაცავად. თუმცა, აუცილებელია ჩარევა იყოს მართლზომიერი და ამის უზრუნველსაყოფად არსებობდეს დამატებითი გარანტიები, რაც არ არის გათვალისწინებული ზემოთ ხსენებული დებულებებით.

უზრუნველყოს პაციენტის სამედიცინო მომსახურების პროცესში მონაწილეობა მისთვის გასაწევი სამედიცინო მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით, აგრეთვე პატიმრებისთვის ჯანმრთელობის დაცვასთან, მათ შორის, პრევენციულ ჯანდაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

/რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია/

მისასალმებელია პენიტენციური დაწესებულებების სამედიცინო მომსახურების სტანდარტების შვიდ სხვადასხვა ენაზე დაბეჭდვა, როგორც აღმოჩნდა. აღნიშნული ბროშურები არ არის თავისუფლად ხელმისაწვდომი პატიმრებისათვის. მნიშვნელოვანია დაიწყოს ბროშურებისა და ფლაერების დარიგება, ასევე სხვადასხვა პერიოდულობით ჩატარდეს კამპანიები პრევენციულ ჯანდაცვისა და ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფის საკითხებზე.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ დაწესებულებებში კვლავ პრობლემად რჩება პატიმრების მიწოდებული სამედიცინო მომსახურების შესახებ სათანადო ინფორმირება. მაგალითად, ხშირ შემთხვევაში, დაწესებულების სამედიცინო პერსონალი პატიმარს არ აწვდის ინფორმაციას ელექტრონულ ბაზაში მინიჭებული რიგითი ნომრის და სამედიცინო რეფერალის სავარაუდო დროსთან დაკავშირებით და ეს მაშინ, როდესაც ელექტრონულ ბაზაში ასეთი ინფორმაცია პერსონალისთვის ხელმისაწვდომია.

მართალია, სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩადებულია პრევენციული ჯანმრთელობის საკითხები, თუმცა ამ პროგრამებში პატიმართა ჩართულობა ძალიან დაბალია. შესაბამისად, ეს პროგრამები ვერ უზრუნველყოფს პრევენციული ჯანდაცვის შესახებ ინფორმაციის პატიმართა მნიშვნელოვანი რაოდენობისთვის მიწოდებას.

ხელი შეუწყოს სამედიცინო პერსონალის პროფესიულ დამოუკიდებლობასა და კომპეტენტურობას მისი პროფესიული დამოუკიდებლობისა და სამედიცინო ეთიკის პრინციპების პენიტენციური სისტემის მარეგულირებელ სამართლებრივ ჩარჩოში სრულად ასახვით, სამედიცინო პერსონალის უწყვეტი პროფესიული სწავლებითა და ტრენინგების მოდულების გაძლიერებით, ტრენინგების შედეგების მდგრადობის შეფასებითა და სუპერვიზიის მექანიზმის შემუშავებით და მკაფიო სამუშაო აღწერილობების შექმნით

/რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია/

სახალხო დამცველი მიესალმება, სამინისტროს მიერ გატარებულ მთელ რიგ ღონისძიებებს, რომელიც მიმართულია სამედიცინო პერსონალის პროფესიული დამოუკიდებლობის, კომპეტენტურობისა და სამედიცინო ეთიკის პრინციპების დაცვის საკითხებთან მიმართებაში. კონკრეტულად კი დადებითად აფასებს სამედიცინო პერსონალის სწავლებას სასჯელაღსრულების სისტემის სპეციფიკისა და პატიმრებთან მოპყრობის შესახებ ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით. აგრეთვე სამუშაო ჯგუფის მიერ სამედიცინო პერსონალისათვის გრძელვადიანი სასწავლო პროგრამის შემუშავებას და სამუშაო აღწერილობებში ფუნქციების გაწერას.

ამასთან, ცხადია, რომ მხოლოდ ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარება ვერ უზრუნველყოფს სამედიცინო პერსონალის პროფესიული დამოუკიდებლობისა და კომპეტენტურობის მაღალ ხარისხს.

პენიტენციური სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო უნდა გადაიხედოს, რათა

[14] მაგალითად, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N3 პენიტენციური დაწესებულების დებულების 57-ე მუხლი მე-8 პუნქტი.

მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი პენიტენციური სისტემის სამედიცინო პერსონალის მიერ პროფესიული ეთიკის პრინციპების განუხრელი დაცვა. პროფესიული ეთიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპის თანახმად, ექიმი არ უნდა მონაწილეობდეს ისეთ საქმიანობაში, რომლის მიზანსაც არ წარმოადგენს პატიმრის ჯანმრთელობის დაცვა.[15] რეალურად, პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო პერსონალს შეიძლება ჰქონდეს ზოგიერთი ისეთი ფუნქცია მინიჭებული, რომლის პრაქტიკაში გამოყენებამაც შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ზემოთ აღნიშნული მოთხოვნის შესრულება. ასე მაგალითად,

სამკურნალო დაწესებულებაში რეფერალის განხორციელებისას სამედიცინო პერსონალი დამოკიდებულია სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის ან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ნებაზე, ვინაიდან ამ უკანასკნელთ აქვთ უფლება უარი განაცხადონ პაციენტის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანაზე. სამედიცინო მომსახურების მიწოდების პროცესში არასამედიცინო პერსონალის ამგვარი ჩარევის აღმოფხვრისთვის საჭიროა ცვლილების შეტანა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის N55 ბრძანებაში. ამ პრობლემის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველი 2014 წლის საპარლამენტო ანგარიშიც საუბრობდა.[16] სამწუხაროდ ამ მიმართულებით არ გადადგმული შესაბამისი ნაბიჯები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული მონიტორინგების შედეგების მიხედვით, შეინიშნება სამედიცინო პერსონალის გარკვეული დამოკიდებულება დაწესებულების ადმინისტრაციაზე, რაც არღვევს კონფიდენციალურობის პრინციპს და აფერხებს სამედიცინო მომსახურების პროცესს.

გრძელვადიან პერსპექტივაში, პროფესიული დამოუკიდებლობის კონტექსტში მნიშვნელოვანია პენიტენციური ჯანდაცვის სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორში ინტეგრაცია.[17] მოკლევადიან პერსპექტივაში კი, აუცილებელია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მხრიდან ეთიკური პრინციპების დაცვაზე მკაცრი ზედამხედველობის განხორციელება და დარღვევებზე ადეკვატური რეაგირება.

პატიმრის პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინოს მისი ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილი, რათა უზრუნველყოს პატიმრის მიერ პაემანის უფლებით შეუფერხებლად სარგებლობა

/რეკომენდაცია შესრულებული არ არის/

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო თავის პასუხში აღნიშნავს, რომ პატიმრების პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსების შემთხვევაში, მაქსიმალურად ხდება პატიმრების ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინება.

სახალხო დამცველის შეფასებით, აღნიშნული პრობლემა კვლავ დგას. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დასავლეთ საქართველოში მდებარე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგების შედეგად დადგინდა, რომ ოჯახის წევრებთან პაემანის უფლების განხორციელებას ხელს უშლის პატიმართა განთავსების დროს ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა.

პაემანის უფლებით სარგებლობის ერთ-ერთ შემაფერხებელ გარემოებად სამინისტროს მიერ მითითებულია მსჯავრდებულთა რისკ ფაქტორების მიხედვით გადანაწილების პროცესის მიმდინარეობა.

ჩვენი აზრით, რისკების შეფასებამდეც არის შესაძლებელი პატიმრები საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით მოათავსონ იმავე ტიპის დაწესებულებაში. მაგალითად, თუ პირი

[15] გაეროს საერთაშორისო სამედიცინო ეთიკის პრინციპები (1982), მე-3 პრინციპი ხელმისაწვდომია მხოლოდ ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.un.org/documents/ga/res/37/a37r194.htm [ბოლოს ნანახია 18.02.2016]

[16] საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 138

[17] აღნიშნული საკითხის მნიშვნელობას აგრეთვე ხაზს უსვამს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი საქართველოში განხორციელებული ვიზიტის ანგარიშში, სადაც ხაზს უსვამს ციხის ჯანდაცვის, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ინტეგრაციის აუცილებლობას, როგორც ექიმების პროფესიული დამოუკიდებლობის გაზრდის საშუალება.

სასჯელს იხდის N8 დაწესებულებაში, ის შეიძლება გადაიყვანონ N2 ან N3 დაწესებულებებში, ოჯახთან ახლოს.

ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში უზრუნველყოს ხანგრძლივი პაემანისა და ვიდეო-პაემანისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა, აგრეთვე პატიმრის მიერ მისთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სატელეფონო საუბრის უფლებით სრულყოფილად სარგებლობა და კანონმდებლობის შესაბამისად კორესპონდენციის კონფიდენციალურობის დაცვა

/რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია/

სახალხო დამცველი მიესალმება N5 პენიტენციურ დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემანის რეალიზებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნას. მიუხედავად ამისა, აუცილებლად მიაჩნია, რომ N8, N9, N18, N19 დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნას ხანგრძლივი პაემანის რეალიზებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების მხოლოდ 5 დაწესებულებაში (სასჯელაღსრულების N5, N11, N15, N16 და N17 დაწესებულებებში) არის ვიდეოპაემნის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოფილ იქნეს ვიდეოპაემნისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

სატელეფონო მომსახურებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით არ არის აღმოფხვრილი ხარვეზები. კონკრეტულად კი, იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი ერთ სატელეფონო ბარათზე ვერ ამოწურავს სასაუბრო ლიმიტს, მას დარჩენილი ლიმიტი ებლოკება, შესაბამისად აღარ აქვს დამატებითი სატელეფონო ზარის განხორციელების საშუალება და იძულებულია შეიძინოს ახალი ბარათი, რაც დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული. სატელეფონო ბარათი ასევე იბლოკება თუ პატიმარი ბარათით განხორციელებული სატელეფონო ზარების ფარგლებში ვერ მოახერხებს საუბარს (სატელეფონო კავშირის გაწყვეტის, არასწორი ნომრის აკრეფის ან სხვა მიზეზების გამო). დახურულ დაწესებულებებში ვერ ხერხდება სატელეფონო ზარის განხორციელება კონფიდენციალურობის სრული დაცვით.[18]

[18]საქართველოს სახალხო დამცველის N2, N3, N7 დაწესებულებების ვიზიტის შემდგომი ანგარიშები.

სახალხო დამცველის შეფასებით, კორესპონდენციის კონფიდენციალურობის დაცვის საკანონმდებლო მოთხოვნები პრაქტიკაში, ხშირ შემთხვევაში, არ სრულდება. აღნიშნული საკითხი დეტალურად არის მიმოხილული პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში მომზადებულ სპეციალურ ანგარიშში მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმი საქართველოს პენიტენციურ სისტემაში.[19]

ის მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელის ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში მოხდა აქვს განსაზღვრული, მაქსიმალურად მოკლე ვადაში გადაიყვანოს შესაბამის დაწესებულებაში, სადაც ის უზრუნველყოფილი იქნება თავისუფლების ისეთი ხარისხით, რომელიც მისთვის საქართველოს კანონმდებლობით არის გარანტირებული

/რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებელია/

სახალხო დამცველი მიესალმება მსჯავრდებულთა რისკების მიხედვით კლასიფიკაციისა და მსჯავრდებულთა შესაბამის დაწესებულებაში გადანაწილების პროცესის დაწყებას. ამასთან, მიაჩნია, რომ ეს პროცესი უნდა დასრულდეს გონივრულ ვადებში და ამავდროულად სამართლიანად და ობიექტურად იქნას შეფასებული საშიშროების რისკები, რათა თავიდან იქნას აცილებული არასწორი შეფასების შედეგად პატიმრის უფრო მკაცრი რეჟიმის პირობებში მოთავსება.

ოპიოიდებზე დამოკიდებული პირებისათვის დაინერგოს ჩანაცვლებითი შემანარჩუნებელი მკურნალობა

/რეკომენდაცია შესრულებელი არ არის/

ოპიოიდური დამოკიდებულების ჩანაცვლებით შემანარჩუნებელ მკურნალობასთან დაკავშირებით სამინისტროსგან მიღებულ პასუხში აღნიშნულია, რომ პენიტენციურ სისტემაში მისი დანერგვა შესაძლებელია დაიწყოს მხოლოდ 2017 წლიდან. მოცემული პასუხიდან არ ჩანს, თუ რატომ ვერ ხერხდება ოპიოიდებზე დამოკიდებული პირებისათვის ჩანაცვლებითი შემანარჩუნებელი მკურნალობის დანერგვა 2017 წლამდე, აგრეთვე თუ რა პროცესები მიმდინარეობს და რა ნაბიჯებია გადადგმული ამ მიმართულებით.

[19] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმი საქართველოს პენიტენციურ სისტემაში.

უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრებისთვის გაზარდოს ფსიქოლოგიური და სოციალური მომსახურებების ხელმისაწვდომობა, მათ შორის, ენობრივი ბარიერის დასაძლევად მოიძიოს შესაბამისი სპეციალისტები

/რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია/

სახალხო დამცველი მიესალმება უცხო ქვეყნის მოქალქე პატიმრებისათვის ფსიქოლოგიური და სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობისა და ენობრივი ბარიერის დაძლევის ხელშეწყობის კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს. მათ შორის, ქართული ენის არმცოდნე პატიმრებისათვის ქართული ენის კურსების ხელმისაწვდომობას. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კურსები პრობლემას ვერ აღმოფხვრის მოკლევადიან პერსპექტივაში. ამდენად, ენის სწავლების პარალელურად მნიშვნელოვანია ქართული ენის არმცოდნე პატიმრები უზრუნველყოფილი იქნან თარგმანით. ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სარეაბილიტაციო აქტივობების პროცესში თარგმანის უზრუნველყოფას ან ალტერნატივად განხილულ იქნას ამ ჯგუფებისთვის უცხო ენებზე სარეაბილიტაციო აქტივობების მოდულების შექმნა.

შექმნას იმგვარი მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფს შესაბამისი ორგანოების მიერ შიდა და გარე მონიტორინგის საფუძველზე, წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებსა და სხვა მაჩვენებლებზე დაყრდნობით პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციისა და თანამშრომლების მიერ საკუთარი ფუნქციების შესრულების და დაწესებულებაში წესრიგის შენარჩუნების შესაძლებლობის შეფასებას

/რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია/

სახალხო დამცველი მიესალმება სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებული რეფორმის ფარგლებში გენერალური ინსპექციის შემადგენლობაში სისტემური მონიტორინგის სამმართველოს შექმნას. აგრეთვე დადებითად აღნიშნავს ამ თვალსაზრისით გადადგმულ პრაქტიკულ ნაბიჯებს, მათ შორის N5, N14 და N17 დაწესებულებების კომპლექსური მონიტორინგის განხორიცელებას.

7. საკანონმდებლო მიმოხილვა

7.1 საკანონმდებლო წინადადებები და ცვლილებები კანონმდებლობაში

ევროპული ციხის წესების თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრის მუშაობა უნდა აღიქმებოდეს, როგორც ციხის რეჟიმის პოზიტიური ელემენტი და არასდროს არ უნდა იქნეს სასჯელის სახით გამოყენებული.[20] ციხის ხელმძღვანელობა უნდა ცდილობდეს პატიმრების უზრუნველყოფას სასარგებლო ხასიათის საკმარისი სამუშაოთი.[21] სამუშაო უნდა იყოს შეძლებისდაგვარად იმგვარი, რომ უნარჩუნებდეს ან ავითარებდეს პატიმრის მიერ გათავისუფლების შემდგომ თავის რჩენის უნარს.[22]

2015 წელს ერთ-ერთ პოზიტიურ მოვლენად შეიძლება შეფასდეს პატიმრობის კოდექსში ცვლილებების შესახებ კანონპროექტი, რომლის თანახმადაც, მსჯავრდებულს, რომელიც პენიტენციური დაწესებულების დირექტორის ნებართვითა და კონტროლით ეწევა ინდივიდუალურ საქმიანობას, უფლება ეძლევა პენიტენციური დაწესებულების ხელშეწყობით მოახდინოს ინდივიდუალური საქმიანობის შედეგად დამზადებული ნივთის (ნაკეთობის) რეალიზაცია.

პენიტენციურ დაწესებულებებში, დღემდე არაერთი მსჯავრდებულია დაკავებული ინდივიდუალური საქმიანობით, კერძოდ ამზადებენ სხვადასხვა ტიპის ნაკეთობებს (ჯვრებს, მინანქრისა და თექის ნაწარმს და სხვ.). არსებული საკანონმდებლო ჩანაწერი ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ნამუშევრების რეალიზაციის საშუალებას არ იძლევა. სამინისტროს მიერ ინიცირებული ცვლილების თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს საშუალება ექნება დაამზადოს პენიტენციური დაწესებულების კონტროლით სხვადასხვა ნაკეთობები და მოახდინოს მისი რეალიზაცია. მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის მეშვეობით მოხდება ნამუშევრების გაყიდვა და რეალიზაციით მიღებული თანხა პირდაპირ ჩაირიცხება ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირად საბანკო ანგარიშზე. ინდივიდუალური საქმიანობის შედეგად დამზადებული ნივთის (ნაკეთობის) რეალიზაციისა და ამ მიზნით ინდივიდუალური საქმიანობის წესს, ასევე იმ

[20]ევროპული ციხის წესები, წესი 26.1

[21] იქვე, წესი 26.2

[22]იქვე, წესი 26.3

ინდივიდუალური საქმიანობების ჩამონათვალს, რომელსაც შეიძლება პენიტენციურ დაწესებულებაში ეწეოდეს მსჯავრდებული განსაზღვრავს მინისტრი.

კანონპროექტით ზუსტდება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შრომითი საქმიანობის ზოგადი საკითხები, კერძოდ, თუ პენიტენციურ დაწესებულებას აქვს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დასაქმების შესაძლებლობა, შეუძლია ისინი დაასაქმოს პენიტენციური დაწესებულების მცირე სარემონტო სამუშაოებზე. ამ შემთხვევაში, სამინისტრო გეგმავს შექმნას მცირე სამუშაო ჯგუფები, რომლებსაც გადაამზადებს შესაბამის პროფესიაში და მათი მეშვეობით უზრუნველყოფს იმ მცირე სარემონტო სამუშაოების შესრულებას, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში პენიტენციური სისტემაში იქნება საჭირო. ამ გზით მსჯავრდებულებს გამოუმუშავდებათ სამუშაო უნარები, ასევე შესრულებული სამუშაოებისათვის მიიღებენ შესაბამის ანაზღაურებას. ასეთი ტიპის სამუშაოებზე მსჯავრდებულთა დასაქმება ხელს შეუწყობს, მათ რესოციალიზაციას და რეაბილიტაციას.

ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და ანაზღაურების მიცემის წესს, ასევე იმ სამუშაოთა ჩამონათვალს (მათ შორის შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს პენიტენციური დაწესებულების მცირე სარემონტო სამუშაოები და ამ სამუშაოების შესრულების მიღება-ჩაბარების წესი), რომლებზეც შესაძლებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასაქმება განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნულ ცვლილებებს და იმედს იტოვებს, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული პროგრესული დებულებები პრაქტიკაში ეფექტურად იქნება განხორციელებული.

7.2 საერთაშორისო სტანდარტის მიმოხილვა

7.2.1 არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვა, კომპენსაცია და რეაბილიტაცია

გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყოველი მონაწილე სახელმწიფო თავის სამართლებრივ სისტემაში უზრუნველყოფს, რომ წამების მსხვერპლს ჰქონდეს სამართლებრივი სანქციით განმტკიცებული სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაციის, მათ შორის სრული რეაბილიტაციისათვის საჭირო სახსრების მიღების უფლება“.

კონვენციის მე-14 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ვალდებულება გულისხმობს, მთელი რიგი ზომების გატარებას, იმისათვის რათა მოხდეს წამების მსხვერპლისათვის დაცვის შესაბამისი საშუალებებით უზრუნველყოფა. უფლებების აღდგენის კონცეფცია მოიცავს რესტიტუციას, კომპენსაციას, რეაბილიტაციას, დაკმაყოფილებასა და წამების განმეორების საწინააღმდეგო გარანტიებს.[23]

სახელმწიფოს ვალდებულებები უფლებებში აღდგენასთან დაკავშირებით მოიცავს ორ ძირითად ასპექტს: პროცედურულსა და არსებითს. სახელმწიფოს მიერ პროცედურული ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელია შესაბამისი კანონმდებლობის მიღება და საჩივრების მექანიზმის შექმნა, საგამოძიებო ორგანოსა და შესაბამისი ინსტიტუტების ჩამოყალიბება, მათ შორის დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოსი, რომელსაც ექნება უფლების განმარტებისა და წამების მსხვერპლთათვის შესაბამისი ანაზღაურების განსაზღვრის უფლება. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მექანიზმები ეფექტურად ხელმისაწვდომი იყოს ყველა წამების მსხვერპლისათვის. არსებით ნაწილში, სახელმწიფოს მოეთხოვება წამების მსხვერპლთა სრული და ეფექტური კომპენსაცია, მათ შორის შეძლებისამებრ მათი სრული რეაბილიტაცია.[24]

წამებისა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დაცვის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს მსხვერპლის სამართლებრივი დაცვით უზრუნველყოფა.

საქართველოში სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარების საკითხი რეგულირდება „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით. აღნიშნული კანონის მიხედვით, სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიულ დახმარებას უზრუნველყოფს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური. იურიდიული დახმარებით სარგებლობა, როგორც წესი, შეუძლიათ მხოლოდ გადახდისუუნარო პირებს, გარდა კანონმდებლობით

[23] გაეროს N3 ზოგადი კომენტარი - მუხლი 14 (წამების მსხვერპლთა კომპენსაცია და რეაბილიტაცია) პარა. 2, მიღებულია 2012 წლის 13 დეკემბერს.
[24] იქვე, პარა. 5

გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი თავისუფლების აღკვეთისა და შეზღუდვის ადგილებში წამების მსხვერპლთათვის უფასო საადვოკატო მომსახურების გაწევას არ ითვალისწინებს.

წამების წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლის სამოქმედო გეგმის მიზანს წარმოადგენს წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის შედეგების აღმოფხვრა, მსხვერპლთა დაცვა და რეაბილიტაცია. ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად განსაზღვრულ ამოცანებს წარმოადგენს: მსხვერპლთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფორმირება და შესაბამისი აქტივობების განსაზღვრა. აგრეთვე, მსხვერპლთათვის ეფექტური იურიდიული დახმარებისა და სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით არსებული კანონმდებლობის ანალიზი და შემდგომი გაუმჯობესება.[25]

წამების წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული ზემოაღნიშნული საკითების მიუხედავად, საქართველოში ამჟამად არ ხორციელდება რაიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს სასჯელაღსრულების სისტემაში წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციას. ასეთი საკანონმდებლო ჩარჩოსა და პროგრამების არსებობა აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილ იქნას სასჯელაღსრულების სისტემაში წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა სათანადო რეაბილიტაციის სერვისებით უზრუნველყოფა.

7.3 საერთაშორისო სტანდარტის ასახვა შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში

პატიმრობის კოდექსის 124[1]-ე მუხლის თანახმად, ხანგრძლივი პაემნის უფლების განხორციელების მიზნით, საქართველოს სასჯელაღსრულების, და პრობაციის სამინისტრომ, არა უგვიანეს 2015 წლის 31 დეკემბრისა, უნდა უზრუნველყოს საჭირო პირობების შექმნა და ხანგრძლივი პაემნის უფლების განხორციელება ქალთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკანონმდებლო მოთხოვნა შესრულებულია, N5 დაწესებულებაში მოთავსებულ ქალ პატიმრებს შეუძლიათ ისარგებლონ ხანგრძლივი პაემანის უფლებით.

8. ფოკუსი

8.1 ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში

საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის მიერ 2015 წლის აპრილში, თბილისისა და ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატებში, ასევე, ხანდაზმულთათვის მომსახურების მიმწოდებელ 5 დაწესებულებაში განხორციელდა მონიტორინგი ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლის მიზნით.

მონიტორინგის ფარგლებში გაანალიზდა ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის მარეგულირებელი საერთაშორისო და ეროვნული აქტები, გამოთხოვილ იქნა საჭირო ინფორმაცია სახელმწიფო უწყებებიდან.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა მთელი რიგი დარღვევები, როგორც ინსტიტუციური მოწყობის, ასევე ხარვეზიანი რეგულაციების და მავნე პრაქტიკის კუთხით. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სათანადოდ არ ხდება სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ხანდაზმული პირების უფლებების რეალიზაცია, მათი ცხოვრების დონე არ არის ადეკვატური, რის გამოც არ სრულდება საერთაშორისო დოკუმენტებით, მათ შორის, „დაბერების შესახებ პოლიტიკური დეკლარაციითა და მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმით“ განსაზღვრული ვალდებულებები. შიდა საკანონმდებლო რეგულაციები საჭიროებს დახვეწას. ამავდროულად, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს არსებული რეგულაციების აღსრულების და ზედამხედველობის მექანიზმის გაუმართავობა.

შემოწმებული 7 სპეციალიზებული დაწესებულებიდან დადებით შეფასებას იმსახურებს ხანდაზმულთა პანსიონატში – „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირში“ არსებული მდგომარეობა, სადაც ხანდაზმულის საჭიროებების შესახებ რეგიონული სოციალური სამსახურებიდან მიღებული ინფორმაციის სიმწირის, მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს ხანდაზმულთა მომსახურების პროცესში

[25] ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა, გვ 21, ხელმისაწვდომია: http://police.ge/files/MONITORING/Documents/Action%20Plan%2015-16.pdf

ჩართულობის დაბალი ხარისხის და ზედამხედველობის დეფიციტის მიუხედავად, ხანდაზმულთა მომსახურება საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების დაცვითა და ხანდაზმულთა უფლებების რეალიზებაზე ზრუნვით ხდება.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემები:

- ბენეფიციართა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტები
- სტანდარტების შესრულებაზე ზედამხედველობის მექანიზმის არარსებობა
- დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებული ხარვეზები
- პერსონალის ნაკლებობა და დაბალი კვალიფიკაცია
- უკუკავშირის მექანიზმის გაუმართავობა და ბენეფიციართა ინფორმირებულობის დაბალი დონე
- არაადაპტირებული ფიზიკური გარემო და ინფრასტრუქტურის გაუმართავობა
- ბენეფიციართა სოციალური პასიურობა და საზოგადოებისგან იზოლაციის საფრთხე
- დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემები
- მედიკამენტების მისაწვდომობის პრობლემა.[26]

9. ექსპერტის მოსაზრება

საქართველოს სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის უფროსი ირინე ობოლაძე

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

ხანდაზმული პირები საქართველოში განსაკუთრებით დაუცველ ჯგუფს განეკუთვნებიან. მძიმეა მათი სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა. უმრავლესობას არ მიუწვდება ხელი ადეკვატურ საცხოვრებელზე, სოციალური სერვისების და დაცვის მექანიზმებზე, რის გამოც ისინი სიღარიბის, უსახლკარობისა და იზოლაციის საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. ხშირია ხანდაზმულთა მიმართ ძალადობის ფაქტები, მათ შორის ოჯახში ძალადობის შემთხვევები. ამასთან, არ არსებობს ძალადობის იდენტიფიცირების, მსხვერპლის დაცვისა და პრევენციის ქმედითი მექანიზმი.

სახელმწიფოს არ გააჩნია ხანდაზმულთა მიმართ ეფექტური პოლიტიკა და მათი უფლებებისა და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის სტრატეგია. არსებული პროგრამები და სერვისები არ არის ორიენტირებული აღნიშნულ პირთა სპეციფიურ საჭიროებებზე. ხანდაზმულ პირთა დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება, სახელმწიფო კი მათ მხოლოდ მინიმალურ საარსებო შემწეობას ან პანსიონურ მომსახურებას სთავაზობს. პრობლემურია შეთავაზებული სადღეღამისო სპეციალიზებული მომსახურების მიღების რეალურად არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხი. აღნიშნულს ადასტურებს ასეთ დაწესებულებაში ჩარიცხვის მსურველ მომლოდინეთა რიგების არსებობა. სახელმწიფო პროგრამებით არ არის გათვალისწინებული ასაკოვან ადამიანებზე ალტერნატიული ზრუნვის სერვისები, მაგალითად, როგორიცაა შინ მოვლა და სხვ.

2015 წელს სახალხო დამცველის აპარატმა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ფარგლებში ხანდაზმულთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების მონიტორინგი განახორციელა და საზოგადოებას შესაბამისი ანგარიში წარუდგინა. მონიტორინგი განხორციელდა თბილისისა და ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატებში, ასევე, ხანდაზმულთათვის სადღეღამისო სპეციალიზებული მომსახურების მიმწოდებელ 5 სათემო ორგანიზაციაში.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა მთელი რიგი დარღვევები, როგორც ინსტიტუციური მოწყობის, ასევე ხარვეზიანი რეგულაციების და მავნე პრაქტიკის არსებობის კუთხით. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ხანდაზმული პირების უფლებები სათანადოდ არ რეალიზდება, მათი ცხოვრების დონე არ არის ადეკვატური, ზოგიერთ შემთხვევაში კი ისინი არასათანადო მოპყრობის მსხვერპლნი ხდებიან. სახელმწიფო არ ასრულებს საერთაშორისო დოკუმენტებით, მათ შორის, „დაბერების შესახებ პოლიტიკური

[26] სრული ანგარიშის ნახვა შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: http://www.ombudsman.ge/ge/reports/

დეკლარაციითა და მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმით“ განსაზღვრულ ვალდებულებებს. შიდა საკანონმდებლო რეგულაციები დახვეწას საჭიროებს. ამავდროულად, მნიშვნელოვანი პრობლემაა არსებული რეგულაციების აღსრულების და ზედამხედველობის მექანიზმის გაუმართავობა.

რაც შეეხება სახელმწიფოს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებას, ამ მიზნით გასულ წელს საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის კოორდინაციით შეიქმნა დაბერების საკითხთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმის შემუშავების მრავალსექტორული სამუშაო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულნი არიან სამინისტროების პასუხისმგებელი თანამდებობის პირები, პარლამენტის, სახალხო დამცველისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

2015 წლის ნოემბერში გამართულს პირველ შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ ჯგუფი ერთი წლის ვადაში შეიმუშავებს დაბერებასთან დაკავშირებულ სამწლიან სამოქმედო გეგმას. სამუშაო ჯგუფის საქმიანობა თემატური ქვეჯგუფების შეხვედრების ფარგლებში გაგრძელდა, რომლებმაც 2015 წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის პირველადი პროექტი მოამზადეს.

სახელმწიფოს პოლიტიკის დოკუმენტებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესისთვის მნიშვნელოვანია მისი დაჩქარება, რათა დროულად მოხდეს ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება.

10. საერთაშორისო სიახლეები

2015 წლის 15 დეკემბერს ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტმა 2014 წლის 1-11 დეკემბერს საქართველოში განხორციელებული მეხუთე პერიოდული ვიზიტის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა.

ვიზიტის ფარგლებში კომიტეტმა მოინახულა სასჯელაღსრულების დაწესებულებები, დროებითი მოთავსების იზოლატორები და პოლიციის განყოფილებები, ასევე ფსიქიატრიული საავადმყოფოები.

წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა დადებითად შეაფასა სახელმწიფოს მიერ გადადგმული სხვადასხვა ნაბიჯები; მათ შორის, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება პოლიციის დაწესებულებებში, ციხის გადატვირთულობის შემცირებასთან ბრძოლა და საცხოვრებელი პირობებისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება ციხეში. აქვე აღინიშნა, რომ მხოლოდ მცირე პროგრესი შეინიშნება ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა ციხის რეჟიმი, სარეაბილიტაციო აქტივობები, კონტაქტი გარე სამყაროსთან, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში არსებული პრობლემები და დაუსჯელობის წინააღდეგ ბრძოლა.

კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ დაუსჯელობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პრობლემას საქართველოში. კანონმდებლობის შესაბამისად პროკურატურა უფლებამოსილია გამოიძიოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის ფაქტები. პრაქტიკაში კი საგამოძიებო მოქმედებებს ყოველთვის ასრულებენ შესაბამისი სამინისტროების გამოძიების მწარმოებელი დეპარტამენტების თანამშრომლები, რაც აჩენს კითხვებს ასეთი გამოძიების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან მიმართებაში. სხვა პრობლემებს შორის აღსანიშნავია, მტკიცებულებების მოპოვებისა და დაცვის კუთხით არსებულ ვითარება.

ასევე პრობლემებია გამოძიების შესაბამისი მუხლით დაწყების, არასათანადო მოპყრობის სავარაუდოდ ჩამდენი პირებისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის და წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლთა დაცვის უზრუნველყოფის კუთხით.

წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას – გადადგას ეფექტური ნაბიჯები, არასათანადო მოპყრობის საქმეების დამოუკიდებელი, ეფექტური და გამჭირვალე გამოძიების უზრუნველსაყოფად.[27]

11. მომავალი ღონისძიების ანონსი

2016 წელს საქართველოს სახალხო დამცველი საზოგადოებას წარუდგენს სპეციალურ ანგარიშს 12 ფსიქიატრიულ დაწესებულებაში

[27] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სრული ანგარიში ხელმისაწვდომია ინგლისურად შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/documents/geo/2015-42-inf-eng.pdf

განხორციელებული მონიტორინგის შედეგების შესახებ. წინამდებარე ანგარიში სრული სახით შესულია 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში.

2016 წლის აპრილში ახლად შერჩეული სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებისათვის დაგეგმილია ტრენინგი დახურული ტიპის დაწესებულებების მონიტორინგის მეთოდოლოგიის საკითხებში.

2016 წლის 7-8 მაის იგეგმება სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებისათვის დაგეგმილია ტრენინგი წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების საკითხებში.

საქართველოს
სახალხო დამცველი

პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი 2016 წელი

კონტაქტი :

ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179

ტელ: +99532 2234499/2913814/2913815/
2913841/2913842/2913843/2913875/2913876
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

საქართველოს სახალხო დამცველი
ცხელი ხაზი: 1481

მუშაობს 24 საათიან რეჟიმში, მათ შორის, არასამუშაო დღეებსა და საათებში.

ბათუმი:
მაზნიაშვილის ქუჩა N9
მობ: 577 50 52 31
ტელ: 0422 27 05 44

ზუგდიდი:
კოსტავას 58
მობ: 577 50 52 34
ტელ: 0415 22 36 11

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის ქუჩა 4
მობ: 577 12 27 70
ტელ: 0362 22 32 83

თელავი:
ჩოლოყაშვილის ქ.3
მობ: 591 88 35 38
ტელ: 0350 27 99 27

ქუთაისი:
რუსთაველის ქ. 18

მობ: 577 55 33 81
ტელ: 0431 25 33 50

გორი:
სამების ქუჩა N1

მობ: 577 78 27 42
ტელ: 0370 27 05 49

მარნეული:
რუსთაველის ქუჩა N51

ტელ: 0357 22 19 70

ოზურგეთი :
დავით აღმაშენებლის N9

ტელ:0496 27 30 53
მობ:593 44 44 27